

მ ა ტ ე მ ს ი

ო ფ ი ც ი დ ა ლ უ რ ი გ ა ნ ე რ ი ფ ი ლ ე ბ ა.

უ მ ა ლ ე ს ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი .

წ ყ ა ლ ი ბ ი თ ა ლ ვ თ ი ს ა თ ა

ჩ ვ ე ნ , ნ ი კ რ ლ ო ზ მ ე რ ე ,

ი მ პ ე რ ა ტ ი რ ი დ ა თ ვ ი თ მ პ ე რ ი ბ ე ლ ი ს რ უ ლ ი ა დ ა რ ე ტ ი ს ა ,

შ ე ვ ე ბ რ ა მ ი ს ა , დ ი დ ი მ თ ა ვ ა რ ა ფ ი ლ ი ა ნ დ ი ს ა

დ ა ს ხ ვ ა თ ა , დ ა ს ხ ვ ა თ ა , დ ა ს ხ ვ ა თ ა .

ვ უ ც ხ ა დ ე ბ თ ყ უ ვ ე ლ ი ა ჩ ვ ე ნ თ ა ე რ თ ვ უ ლ ქ ვ ე შ ე ვ რ დ ი მ თ ა :

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა *

IX. ნ უ გ ა დ ა ხ დ ე ბ ა თ დ ა გ ა ნ ი რ ი ც ხ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი დ ა ნ :

I. 1896 წ ლ ი ს 1-ლ ი ი ნ ვ რ ა მ დ ე რ ა ც ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ფ უ ლ ი ა ს ხ ვ ა - დ ა - ს ხ ვ ა გ უ ბ ე რ ნ ი ე ბ ი ს თ ა ვ ა დ - ა ზ ნ ა უ - რ ი ბ ა ზ ე რ ა ს ა ზ ნ ა უ - რ ი რ ა პ ა ნ ს ი მ ი ნ ე რ ე ბ ი ს ა ლ ს ა ზ რ დ ე ლ ა თ , რ მ ე ლ ი ც უ ს წ ა ვ ლ ი ე ბ ე ნ ს ა ე რ ი რ ა ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ი რ ი ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს .

2) ხ ვ ე დ რ ი ფ უ ლ ი , რ მ ე ლ ი ც მ ე რ ა რ ა ნ ა ხ ე ვ ა რ ი 1895/6 წ ლ ი ს ა ნ გ ა რ ი შ მ ი უ ნ დ ა შ ე მ ლ ე ტ ა ნ ა თ ს წ ა ვ ლ ი ს თ ვ ი ს , ლ ე ქ ც ი ე ბ ი ს მ ი ს ა ს მ ე ნ ა თ დ ა ს ა ქ ა ლ ე ბ ი , ა ნ ს ა ვ ა უ პ ა ნ ს ი მ ი ნ ე ბ ი ს ყ მ ა წ ვ ი ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ხ ა ზ ი ნ ა შ ი ა ნ ს ე ც უ ი ა ლ უ რ თ ა ვ ე შ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ უ პ ა ნ ი ა თ ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა , დ ა დ ა ნ ი შ უ ლ უ ლ ვ ა დ ი ს ა რ ა შ ე უ ტ ა ნ ა თ დ ლ ე მ დ ე ჩ ვ ე ნ ი ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ი ს , უ ნ დ ა ე პ ა ტ ი ვ ი ს თ ა ; ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი , თ უ უ კ ვ ე შ ე ტ ა ნ ი ლ ი ა , უ ფ ლ ე ბ ა მ ი ე - ც ე ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ თ ა უ ფ რ ი ს ე ბ ს შ ე მ ლ ტ ა ნ ი ლ ი ფ უ ლ ი ჩ ა უ რ ი ც ხ ი ნ მ ი წ ა ფ ე ე ბ ს შ ე მ დ ე ვ გ ნ ა ხ ე ვ ა რ ი წ ლ ი შ ე ს ა ტ ა ნ ტ უ ლ შ ი , თ უ რ მ მ ი წ ა ფ ე ლ ა რ ი ბ ი ა დ ა თ ა დ ა ნ ი ს კ ა რ ვ ი ყ უ ფ ა ქ ც ე ვ ი თ ლ ი რ ი ს ა მ ს ა ლ ა ვ ა თ ი ს .

3) გ ა დ უ ხ დ ე ვ ი ნ ე ბ ე ლ ი ფ უ ლ ი , რ ა ც კ ი დ ა გ რ ა ვ ი ლ ა 1896 წ ლ ი ს 1-ლ ი ა ნ ვ რ ა მ დ ე დ ლ ე მ დ ე ჩ ვ ე ნ ი ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ი ს ი მ პ ე რ ა ტ რ ი ც ი ს მ ა რ ი ა მ ი ს დ ა - წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა მ ი წ ა ფ ე ე ბ ს უ ნ დ ა ე პ ა ტ ი ვ ი ს თ .

ა მ ა ს გ ა რ დ ა ი ს პ ი რ ნ ი , რ მ ე ლ თ ა ც უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი ფ ა უ თ ა ვ ე ბ ი ა თ დ ა ე გ ზ ა მ ე ნ ე ბ ს ი ჭ ე რ ე ნ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ უ პ ა ნ ი ს 1896—1897 წ ლ ე ბ შ ი უ ნ დ ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ნ შ ე ს ა ტ ა ნ ფ უ ლ ი ს ა გ ა ნ ბ ა ნ გ ა ნ , უ კ ე თ უ ი ს ი ნ ი წ ა რ ა დ გ ე ნ ე ნ უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს მ თ ა ვ რ ი ბ ი ს ა გ ა ნ ს ი ს გ ა ლ ა რ ი ბ ი ს მ ი წ მ ი ბ ა ს .

X. გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ დ ე ნ ი ჯ ა რ ი თ ა მ ლ ე ბ ნ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ უ პ ა ნ ი ს უ ფ ლ ი , ს ა ხ ა ს ა ლ ი დ ა ჩ ვ ე ნ ი კ ა ბ ი ნ ე თ ი ს კ უ თ ვ ნ ი ლ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ს ს ხ ვ ა - დ ა - ს ხ ვ ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს ა გ ა ნ , რ მ ე ლ ი ც კ ე მ მ ო რ ე ა მ ი ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ი ა :

1. ს რ უ ლ ი ა დ ე პ ა ტ ი ვ ი ს თ მ ა მ უ ლ ე ბ ი ს დ ა ს ა ბ ე გ რ ი ა მ გ ი ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი მ ი წ ა რ ა რ ა დ რ ე ბ ს , რ მ ე ლ თ ა ც ე ბ ი ს გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი დ ა ტ ე ხ ი ა თ თ ა ვ ზ ე 1893 წ ლ ი ს 1-ლ ი ა ნ ვ რ ა მ დ ე დ ა დ ლ ე მ დ ე ჩ ვ ე ნ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ი ს ა რ ა გ ა დ ა უ ხ დ ი ა თ : ხ ო ლ ი ვ ი ს ა ც კ ი ს კ ი მ გ ა დ ი ს შ ე მ დ ე ვ გ ა რ ა შ ი თ კ უ თ ვ ნ ი ლ ი გ ა დ ა ს ა ვ ა დ ი 1896 წ ლ ი ს 1-ლ ი ა ნ ე რ ა მ დ ე დ ე ბ ი ს გ რ ე თ ვ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ უ პ ა ნ ი ს თ ა ვ ზ ე ბ ი ს მ ი წ ა რ ა რ ა დ რ ე ბ ს , დ ა კ ა ს პ ი ი ს ზ ღ ვ ი ს პ ი რ ა თ ა დ გ ი ლ ე ბ ი ს მ ი წ ა რ ა რ ა დ რ ე ბ ს , რ მ ე ლ თ ა ც ე ბ ი ს გ ა უ მ ა რ ა თ ა ვ ე თ ი ქ ვ ე ბ ი ს ს ა ჭ ე რ ი მ ი წ უ ბ ი ლ ი ბ ა ე პ ა ტ ი ვ ი ს თ გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი თ ი თ თ პ ი რ ზ ე ე ქ ვ ს ა ს ი მ ა ნ ე თ ი ; თ უ რ მ ე ს ს ა ბ ე გ რ ი რ ა დ გ ი ლ ე ბ ი უ ჭ ი რ ა ვ ს გ ლ ე ბ ი ს ს ა ზ ი ა გ ა დ ი ე ბ ა ს , ა ნ ა მ ხ ა ნ ა გ ა ნ ა ბ ა ს , რ მ ე ლ ი ც კ ე დ ე ბ ა ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ს ა მ ი კ ა ც ი ს ა გ ა ნ , თ ი თ თ ს ე პ ა ტ ი ვ ი ს თ რ ა ს ი მ ა ნ .. ხ ო ლ ი თ უ ა მ ხ ა ნ ა გ ა ნ ა ბ ა ი რ ა ი , თ ი თ თ ს უ ნ დ ა ე პ ა ტ ა ვ ი ს 300 ბ .

3. ე პ ა ტ ი ვ ი თ შ ტ რ ა ფ ე ბ ი დ ა დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ხ ა რ ა ჯ ე ბ ი დ ლ ე მ დ ე ჩ ვ ე ნ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი ს კ უ რ თ ხ ე ვ ი ს ი მ ა დ გ ი ლ ი ს მ ი წ ა რ ა რ ა დ რ ე ბ ს , რ მ ე ლ თ ა ც კ ა ნ ტ რ ა ხ ტ ე ბ ი ს ა ბ ე გ რ ი მ ა მ უ ლ ე ბ ი ს ა დ უ რ ლ ვ ე ვ ი ა თ , მ ა გ ა ლ .. ვ ი ს ა ც რ ი გ ი ა ნ ა თ ა რ ა მ უ ხ ხ ნ ა ვ ს ს ა ბ ე გ რ ი მ ა მ უ ლ ი , ა ნ მ ე ტ ი ა დ გ ი ლ ი დ ა უ ხ ხ ნ ა ვ ს , ა ნ რ ა თ ე ს ლ ი ც ნ ა რ ე ვ ი ც ი ყ ა ნ , ი ს ა რ ა დ ა უ თ ე ს ა ვ ს , ა ნ მ ი წ ა ა რ ა გ ა რ ი ყ უ ფ ა ქ ც ე ვ ი თ ლ ი რ ი ს ა მ ს ა ლ ა ვ ა თ ი ს .

ბი არ დაურგავს, ან ახალი ტყე მოუჭრია და სხვა ამისთანები - თითოეულ კაცს ეპატივოს 300 მანქ-თამდე, ანუ თუ მამული გაცემული ცოფილა იჯა-რით ამხანაგობაზე, რომელშიაც 6 კაცი ითვლება, თითო კაცს ეპატივოს ხუთი თუმწის გადასახადი, ნურც დაადებენ ახალ ჯარიშებს იმათ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა.

3. არ უნდა გადახდეს ზარალი, რაც ყოფილა დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, იმ მოიჯა-რადრებს, რომელთაც გაცემულ ადგილებისთვის თავი დაუნებებიათ, ან შეუმცირებიათ საბეგრო ფუ-ლი, არც იმათ უნდა გადახდეთ ჯარიმა, რომელთაც კანტრახტებისათვის თავი დაუნებებიათ, იმ ზალოგე-ბისა, რომელნიც მიუტოვებიათ ადგილ-მამულის იჯარით ასაღებათ.

4. განირიცხოს და ეპატივოთ ყოველივე ჯარიმა უწინდელსა და ახლანდელს მიწის მოიჯარადრებს და მობეგრე კაცებს, რაც კი მათ დადებიათ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, დროზე საიჯარო გა-დასახადის შემოუტანლობის გამო. აგრეთვე სამარილე ადგილებისა, ფისისა და კუპრის სახდელ ადგილების ფასის შემოუტანლობის გამო.

XI. მიეცეს საღავათი მოსესხე წოდებათა და საზოგადოებათა, რომელთაც სხვა და სხვა დროს აულიათ ხაზინიდან ვალები:

1. განირიცხოს და ეპატივოს პრივაზის მოვა-ლებს, რომელთაც აულიათ ქალაქისა და სოფლის მამულებზე სესხი, ერთი მეხუთედი თავნისა, სარგებ-ლისა და ჯარიმების, რაც რომ მათ თავს დატეხიათ 1-ლ იანვარიდის 1896 წ. შემდეგი წესით:

ა. ჯერ უნდა განირიცხოს შეუტანელი ფული და შემდეგ თავნი ვალიდან მოეჭრას ერთი მეხუ-თედი.

ბ. დანარჩენი თავნი ვალისა უნდა განაწილდეს უწინდელ ვადაზე და გადიხადონ ნაწილ-ნაწილთ, როგორიც წესია შილებული ბანკებში ხუთი პროცენტის ანგარიშით; ამის შემდეგ რაც პროცენტი და თავნი ვალი დარჩება მამულებზე, ისინი უნდა გადაა-დევინონ ხოლო იმ წესით, რაც პრიკიზია მიღ-ბული.

გ. იმ შესხებლებს, რომელთა სესხსაც უმაღლე-სი ბძანებისამებრ 20 ოებერვალს 1888 წლისა 15 წლის ვადა მიეცათ, მეხუთედი ნაწილი ეპატივებათ მარტი იმ თავნზე, რომელიც პირველ 15 წელიწადს

უნდა გაისტუმრონ, ხოლო მეორე თუთხმეტე-წლის კალით გასასტუმრებელი თავნი ხელშეუცხმდობაზება.

დ. ამ რიგათ აღრიცხული თავნი, რომელიც სესხათ ედება თითოეულ მოსესხეს, 1-ლს იანვრმ-დის 1896 წ. და ყოველწლიური შესატანი ფული უნდა დამტკიცდეს საფინანსო მინისტრის მიერ.

2) ეპატივოთ და ანგარიშებში გაუქმდეს, რაც რომ სესხი ითვლება დღემდე ჩვენი გვირგვინის კურ-თხევისა სახელმწიფო ხაზინიდან აღებული, აგრეთვე უწინდელი მოსესხე ბანკიდან და სხვა-და-სხვა სამი-ნისტროს თავნებიდან გასული ფული, რომელიც უმაღლესათ ნება დართული იქმნა 4 მარტს და 24 ივნისს 1880 წ. და განკარგულებისამებრ უწინდე-ლის მთავარ-მართებლისა გადაეცა კავკასიის კრედიტს რიცხვით მილიონ ნახევარი თავნი კავკასიის აქეთა მხრის მცხოვრებლების გასაკვებათ, აგრეთვე ეკალე-სიების ასაშენებლათ და მიწის-ძრით დანგრეული სახლების შესაკეთებლათ.

3) ეპატივოს სრულიად სესხი სახელმწიფო ხა-ზინიდან გაცემული იმ პირებზე და საზოგადოებებზე, რომელნიც ცეცხლით დაზარალებულან 1890 წლა-მდე.

4) ხაზინიდან გატანილ სესხებზე დღემდე ჩვენი გვირგვინებს კურთხევისა, რომელი მიცემიათ კერძო პირებს და საზოგადოებათა ცეცხლითა და წყლით დაზარალების გამო, აგრეთვე სხვა უბედურებების გამო, გარდა იმ შემთხვევათა, რომელნიც XI სტატიის მესამე მუხლში ირიან მოხსენებული, ეპატივოთ ყოველივე შემოუტანელი ფული და პროცენტები იმ მსესხებლებს, რომელთა შემოსატანი გადასახადი იმ-დენია, რომ გატანილ სესხს უდრის; ხოლო სხვა მსესხებლებს ამნაირ სესხის ფულებიდან ეპატივოს მხოლოთ სამას-სამასი მანეთი თითოეულ სესხზე, იმ მოსესხეთ, რომელთაც 300 მანეთზე მეტი აქვთ გა-ტანილი, 300 მანეთი გამოერიცხოთ და დანარჩენი გადახდეთ. იმ შესხებზე, რომელთაც ვადა გასვლიათ და არ შემოტანილან, ეპატივებათ მარტო ახალ ვა-დაზე შემოსატანი ფული.

11. ეპატივოთ სესხები იმ მცხოვრებლებთა, რო-მელთა სამაღნო ადგილები სახელმწიფო ხაზინაში დაგირავებულია და სამაღნო ადგილების მეპატრონე-თა სესხი გადატანილია იმ მცხოვრებლებზე, რომელ-ნიც ადგილში მეპატრონებს იჯარის აძლევდენ და იმ იჯარის სამაგიეროთ მათ დაატყდათ გადასახდე-

ლათ სახელმწიფო ვალი, ადგილის მებატონეთა მიერ აღებული.

14) იმ სესხებზე, რომელნიც ხაზინას მიუკია ქალებისა და სხვა და სხვა ერობისათვის ან წლიური ანგარიშების, გასასწორებლათ, ან გადამდები ავათმყოფობის მოსასპობათ, ან გზების გასაყვანათ მდინარეების კიდეების გასამაგრებლათ და დამზღვევი საზოგადოების დასახმარებლათ, ეპატივოთ სარგებელი, რომელიც არ ყოფილა შემოტანილი დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა.

15) ეპატივოთ მებატონეებს საგლეხო ადგილ-მაჟულის გამოსაყიდველათ აღებულ სესხებზე ყოველივე ჯარიმა, რაც რომ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა მათ თავზე დატეხიათ და ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ.

XII. ეპატივოთ ქვემოხსენებული წეს-რიგით ჯერ გაღუბდევინებელი დატეხილი ვალი, ზარალი და დაკარგული ფული ჯამაგირებში, სახარჯოთ, ან გზის ფულათ და სხვა აღებული, როგორც ხაზინის, ისე იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა, რომელნიცა მომხდარან უკანონოთ გაცემით სახელმწიფო მოხელეებზე, რაც კი ამისთანა ზარალი მომხდარა ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის:

1, ის ზარალი და დაკარგული ფული, რომელიც ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის არ განხილულა და ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა, უნდა ეპატივოს და იმათ წამლებს ნულარ შეაწუხებთ, თუ ეს ზარალი არ აღმატება 300 მან. თითოეულ პირზე.

2, ზარალი და დაკარგული ფული მოხელე პირზე, რომელნიც აღმოჩენილან ჩვენი კურთხევის დღემდე უნდა ეპატივოთ, თუ თითოეულ მოხელეზე 300 მან. მეტი ზარალი არ იქნება.

3, ზარალი და დაკარგული ფული, რომელიც 300 მანეთს აღემატებიან, უნდა გადახდეთ თითოეულ პირს მხოლოთ 300 მან. გამორიცხვით.

4. თუ რომ ვისმე მოხელეს ჩვენი კურთხევის დღემდე ჯილდოთ, ან ისე კანცელარიის შტატის ფულებიდან და სხვა წყაროებიდან წაულია და თავს დატეხია ნება-დაურთველათ მთავრობისა, ნულარ იძიებთ და ნუ მოეხსენებათ სახელმწიფო მოხელეთ. ამ მეოთხე მუხლისამებრ თუ ვისმე მიცემია საჩუქრათ და შემწეობათ ფული იმ თავინდან, რომელსაც სრულებით სხვა დანიშნულება ჰქონია, უნდა ეპატივოთ 300 მ-დე 1 წლის ანგარიშში თითოეულს პირს,

დანარჩენი კი უნდა გადახდეს. 3
5, რაც დაკარგული და დანაკლიფზ-ფულუშუ-მოჩენილა ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე მოსამსახურეთა უმართებულო მოქმედებისაგან და უნდა გადაახდევინონ ერთი-ორათ ხაზინის სასარგებლოთა ან იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა სასარგებლოთ, დამნაშავეთა, ან იმათ მოთავდებე პირთა, ან სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ ზარალში და დანაკლისში, იმათ უნდა გადახდეთ მხოლოთ თავნი დანაკლისი და არა ერთი-ორათ.

6. სარგებელი, რომელიც ხაზინისა, ანუ იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა მავნებლობისათვის უნდა გადახდევინებიათ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, აღარ გადაახდევინონ გარდა თავნი ფულისა, რომელიც გატანილი ყოფილა.

7, რაც ფული სახელმწიფო სამსახურში რომელიმე მოხელეს თავს დატეხია, ის მომკვდარა და მის მაგიერათ მემკვიდრეებს ედებათ გადასახდელათ, ან იმათ მოთავდებე პირებს, რომ მემკვიდრეების მამული ვერ აუგა ამ ვალს, აგრეთვე რაც ფული ქვრივების და ობლების პენსიებს დატეხია თავზე, უნდა ეპატივოთ.

8, უნდა ეპატივოთ სულ ყველა ფულები, რაც კი დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა მოსამსახურეთა თავს დატეხიათ გადასახდელათ, ან იმის გამო გამხდარან ამაში პასუხისმგებელი, რომ ნამდვილი დამნაშავე გაქცეულა და ვეღარ უნახავთ.

9, ნულარ დევნიან იმ ზარალისა, დანაკლისისა და მეტის წალებულისათვის, რომელნიც მოსამსახურებს ჩაუდენიათ ზა მას შემდეგ ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე გასულა არა ნაკლები 10 წლისა.

10, რაც მოსამსახურე პირებს თავს დატეხიათ შტრაფები, ან რაც იმათვან ხაზინას ერგება გერბის ქალალდის ფული, იმის შტრაფები დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა ყოველივე ეპატივოს და მხოლოთ გადახდეს მარტო ის ფული, რაც დერბის ქალალდის ფასია.

11, განირიცხოს ანგარიშებიდან რაც ფული ითვლება სახელმწიფო რკინის გზის მოსამსახურე პირზე ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ან თუ მათ შეეწრათ რაიმე დანაკლისი ფული კონტროლის განხილვით, ან თუ ვისმესთვის გადაუხდევინებიათ მეტი ფული საქონლის გადატანაში ტარიფის წინააღმდეგ.

12, ეპატივოთ დანიშნულება შტრაფებს

და ჯარიმებს იმ საქმეებისათვის, რომელნიც არ ჩაითვლებიან ხაზინისა და იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა საზარალოთ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, მაგრამ სამსახურში უდარდელობისა და უწესო მოქმედების გამო შეწერილს. ამასთანავე უნდა ეპაკიოთ შტრაფები და ჯარიმები იმის გამო, რომ თავის დროზე არ წარმოუდგენიათ ანგარიშები, დოკუმენტები და სხ., აგრეთვე რაც თავს დატეხიათ მოსამსახურე პირთ თანახმათ 30 მუხლისა იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა კონტროლის შესახებ.

13. მე-XII მუხლის წინა პუნკტების ძალა არ შეეხდა იმ ფულებს, რომელნიც არ ეკუთვნიან ხაზინას, მაგრამ ხაზინაში კი ინახებიან, არც იმ თავნებს, რომელნიც საქველმოქმედოთ არიან. დანიშნული, არც იმათ, ვისაც ხაზინის კუთვნილება რაიმე მოუპარავს, რომელიც სახელმწიფო მოხელეს პერნია მიბარებული, არც იმათ, ვინც ბოროტ განზრახულებით და ანგარების მოყვარეობით ყოფილა დამნაშავე ხაზინის ზარალში ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის.

14. უნდა მოისპოს ყოველივე საქმე სახელმწიფო კონტროლის მიერ აღმოჩენილ დანაკლისზე სახელმწიფო მოხელეებისა, თუ რომ დამტკიცდება, რომ იმათ ბოროტ განზრახულებით და ანგარების მოყვარეობის გამო არ მიუტიათ ზარალი ხაზინისათვის დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა.

15. მე-XII მუხლის მე-7 და მე-8 პუნკტის ძალით მინიჭებული საღავათი შეეხება იმ პირთაც, რომლის წინააღმდეგ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე ანგარების მოყვარების გამო მათ მიერ მოხდენილ ზარალზე ხაზინისათვის, მაგრამ მემკვიდრეებს ეპატივებათ მხოლოთ ის ზარალი, რომელიც ქვრივ ობლის პენსიებს დაატყდება გადასახდელათ; სხვა შემთხვევაში მემკვიდრეებს მიეცემათ საღავათი, რომელიც მოხსენებულია ამ მანიფესტის მე-XV მუხლში.

16. მეთორმეტე მუხლის წინა პუნკტები შეეხება აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში დაქირავებულნი არიან, აგრეთვე კერძოთ დაქირავებულს ექიმებს და სტუდენტებს, რომელნიც დროებით გამოგზავნილი არიან გადამდები ავათმყოფობის, საქონლის ჭირის და სხვათა მოსასპობათ.

XIII. იმ პირთ, რომელნიც ყოფილან დამნაშავენი და ბოროტის მოქმედები ჩვენი გვირგვინის

კურთხევამდე მიენიჭებათ მოწყალება ქვემოხსენებული წესისა და რიგისამებრ.

1. ყველანი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაულობა და კანონით გადაწყვეტილი აქვთ დარიგაბა, შენიშვნა, საყვედური, ფულის ჯარიმა არა უმეტეს 300 მან., დატუსალება ციხეში, პატივისა და ლირსებების აუხდელათ, ყველა, ვინც კი დანაშაული ყოფილა სახელმწიფო ტყის მოჭრაში და ერთი-ორათ უნდა გადახდეთ ჯარიმა, თუნდ 300 მანეტზე მეტი, უნდა იქმნენ განთავისუფლებულნი.

2. მიტევებულ იქმნენ ის დამნაშავე სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთაც გაუფანტავთ სახელმწიფო ქონება ას თუმნამდე და საპყრობილეში სხედან, თუ რომ მათ დანაკლისი ფული შეუცსიათ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა.

3. უნდა განათავისუფლონ სამართლისა, და დასჯისაგან ყველა დამნაშავენი, რომელნიც ექვემდებარებიან სისხ. სამართლის კანონების შემდეგ მუხ. 193, 194, 195 და 1575 (კანონთ კრება ტომი 15-ტე, გამოცემა 1885 წლისა და მათი გაგრძობა 1895 წ.)

4. ვისაც ჩვენი გვირგვინის კურთხევის დღემდე მოუხდენია დანაშაულობა, რომლისთვისაც მათ მოელით სასჯელი, ანუ შეპყრობა, საპყრობილეში ანუ ციხეში ჩამოსახმარებელი და ღირსების აუხდელათ, აგრეთვე ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ეს სასჯელი სამართლის წესით, იმათ უნდა შეუმცირდეთ დასჯის ვადა ორი მესამედით.

5. მოსამსახურე პირებს, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი, თანახმათ სისხ. სამართ. მე-65 მუხ. 2—9 პუნკტ., მიეცეთ ნება კვლავ განაგრძონ სამსახური და პენსია დამსახურონ, მხოლოთ იმათ არ ექნებათ ნება მიიღონ ორდენი წმ. ვლადიმირისა სამსახურის ვადის შესრულებისათვის და კეთილ სინიღისიანათ სამსახურის ნიშნისა.

6. ყველას. ვინც კი 12 ივნისის 1895 წლის კანონის გამოცემამდე ყოფილიან სამართლით ეჭვეშ დატოვებულნი, აგრეთვე მთავრობას დიდი ეჭვით უდევნებია თვალ-ყური, უნდა აპატივონ და განათვისუფლონ ამ თვალყურის დევნისაგან.

(დასარული შემდგება)

მწერლისი

ერთობლივი
განვითარებული



შე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსინ კეთილმან სული თვის
დაპსდეის ცხოვართათვის. (იოა. 10 — 11).

გვავე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული
ცათ ზინა, ერთისათვის ცოდილისა. (ლუკ. 15 — 4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და
მე განგისვნო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 12

1883—1896

30 ივნისი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“	რუსული გამოცემი
12 თვით . . .	3 მან.	12 თვით . . .
6 — . . .	2 —	6 — . . . 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ აღრესით:
ვხ ხეირაო, ვა მოდას „Mukemci“ უ „Pastori“. *

შეელა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა
იქმნებიან დასაბეჭდებათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგე-
ბად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავ-
ლობაში შეიძლება ავტორუბის მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და
თარგმნით დაიბეჭდებიან.

სამღვდელოების კრება ქალაქს ქუთაისში
28, 29 და 30 მაისს,

გაგრძელება *)

დეკ. დ. ლამაშიძე. ეს არის მოისმინეთ თქვენ,
შემანო დეპუტატნო, ჩვენგან წაკითხული პროექტი.
საზოგადოთ ზოგიერთებს, რომელიც თავმოყვარე-

ობის სენით არიან შეპყრობილნი, ჩვეულებათ აქვთ,
ყოველი პროექტი და წესდება, გადმოკეთებული
სხვა პროექტის და წესდებულებათაგან თავის ნაწარ-
მოებათ და გონიერის ნაყოფად მიაჩნიათ. აგრე წინა-
ზედ ერთ პირს ემერიტურის კასისის წესდების ვითომ
შედგენისათვის 400 მან. ჯილდოს აძლევდენ, დიდი
შრომა მიიღოვთ და წესდება გამოიგონაო, როდე-
საც ამისთანა წესდებანი უბრალო კალენდრებშიაც კი
იბეჭდებიან. ჩვენ ღმერთმა გვაშოროს ამისთანა მკვე-
ხარობა. ის წესდება, რომელიც ჩვენ წავიკითხეთ,
შედგენილია და გამოკრებილი სხვა და სხვა ეპარქი-

*) ახლა 『მწყემსი』 № 11, 1896 წ.

ებში არსებული სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის მიღებულ და დამტკიცებულ წესდებათაგან. ჩვენ შევადგინეთ ეს პროექტი ჩვენი ეპარქიის მოთხოვნილებათამებრ. ამისთანა წესდებათა წყალობით ზოგიერთ ეპარქიებში მშვენიერად მიმდინარეობს სანთლის წარმოების საქმე. სრული იმედი არის, რომ თუ ჩვენში სანთლის ქარხნის წარმოების საქმე ამ პროექტისამებრ მოვავარეთ, დარწმუნებული ვარ, სანთლის წარმოების საქმე ბევრის წილათ უმჯობესად წავა, ვინემ ძევლი წესით მიღილდა. ამისთანა პროექტის წარმოდგენა თქვენ დამავალეთ მე წინა კრებაზედ და თქვენი მონდობილობა, შეძლებისა გვარად, კიდევ ავასრულე. ეხლა თქვენზეა დამოკიდებული მიიღებთ ამ ჩვენ პროექტს თუ არა.

დამდენამე ხმა დეპუტატებისა: კარგი პროექტი არის, მივიღოთ.

დეპ. ბ. მჭედლიძე: ჩვენ დავავალეთ წინა კრებაზედ დეკ. დ. ლამბაშიძეს ამისთანა პროექტის შედეგენა და გაზეთში დაბეჭდვა, რომ ყველას შეძლებოდა თავისი აზრის გამოთქმა პროექტის შესახებ. დღეს ჩვენ არ შევვიძლია ამ პროექტის მიღება, რადგან ასე უცემ ვერ გადაწყვეტო — კარგია მისგან წაკითხული პროექტი, თუ არა.

დეპ. დ. ლამ - ძე: ჩვენთვის არავის არ დაუვალებია პროექტის შედეგენა და გაზეთში დაბეჭდვა ასე მცირეს ხანში.

დეპ. ბ. მჭედლიძე: დეკ. ლამ - ძე ამბობს პროექტი მე შევადგინე. გამოდის რომ მის ამხანაგებს მონაწილეობაც არ მიუღია. თუ მისი ამხანაგები არ არიან მონაწილენი ამა პროექტის შედეგენაში, მაშინ პროექტი არ ყოფილი კანონიერათ შედეგენილი და მისი მიღება არ შეიძლება.

დ. დ. ლ - ძე: ჩვენ გვაკირვებს მ. მჭედლიძის მსჯელობა პროექტის უვარვისობაზე. ერთი მხრით მართალს ამბობს მჭედლიძე, მრთელ კამიტეტის უნდა შეგვეღვინა პროექტი. საქმის მწარმოებლობა კამიტეტისა იკისრა ბ. ა. გორგაძემ და ვალდებულიც იყო ამისთანა პროექტიც მას შეედგინა და ყველას ერთად განვეხილა, მაგრამ, სამწუხაროთ, მან ესრეთი ვერ შეასრულა, ილათ სხვა მრავალ საქმეთა გამო. უკანასკნელ დროს მე გამოვუჩადე კველა წევრებს, რომ თავ თავისი მოფიქრებით შეედგინათ კანონები და ინსტრუქციები, თუ როვორი მართვა-გამგეობა დაწესებულიყო ჩვენ სანთლის ქარხაში. მე შევად-

გინე ეს პროექტი და, შეიძლება, სხვა წევრებმა წარმოადგინონ თავიანთი აზრი და წევრდებულება გამატებულის წაგრძა მღვდე. დალაბერიძე. ჩვენ დანარჩენებმა სამმა წევრმაც შევადგინეთ პროექტი სანთლის ქარხნის უმჯობესად მართვა-გამგეობის, რომელიც აქვს მ. ფილიპე ფხავაძეს. ვოხოვ მ. ფილიპე ფხავაძეს, რომელიც აქ არის, რომ წაიკითხოს ეს პროექტი.

წევრი კამიტ. მდ. ფ. ფხავაძე: მამან დეკუტატნო! მე, მართალია, მსურდა, რომ წაგვეყითხა ჩვენ სამ წევრთაგან შედეგენილი პროექტი სანთლის მართვა-გამგეობის შესახებ, მაგრამ შემდეგ დეკ. დ. ლამბაშიძისაგან წაკითხული პროექტის მოსმენისა, სასირცხოთ მიმაჩნია ამ ჩვენი პროექტის არა თუ წაკითხეა, არამედ გამოჩენაც. სრული თანახმა ვარ დეკუმბაშიძისაგან შედეგენილი პროექტისა.

დამდენამე ხმები დეპუტატებისა: მივიღოთ პროექტი კარგად არის შედეგენილი. კამიტეტის წევრებიც ხომ უარს არ ყოფილი.

დეპ. გ. ცაგ - ლი: არ შეიძლება პროექტის ასე მიღება. უნდა კამისია დაინიშნოს, მან უნდა განიხილოს და შემდეგ კრებაზედ სამდვერელობას მოხსენდეს მისი ნაკლულევანება და სიკეთე.

მდგ. გ. ხუსკიგაძე: კომისიის რაღა შეუძლია? წესდება ხომ წაიკითხეთ. კიდევ წაკითხოთ. რომელი მუხლიც არ მოგვეწონოს, ის მოვშალოთ და შევსწოროთ, თორემ საქმეს დასასრული არ მიეციმა.

დეპ. გ. ცაგ - ლი: ჯერეთ კომიტეტს თავის ანგარიშიც არ წარმოუდგენია რიგიანად და კანონიერათ. კამიტეტის შედეგენილი უწყებიდგან - სჩანს, რომ რაღაც 3000 მან. შემოსულა. მაგრამ ეს ახალი კამიტეტის წყალობით კი არ გახლავს, ეს გახლაჭი იმის გამო, რომ კამიტეტმა სანთლის წარმოების საქმე ჩაიბარა შების დღესასწაულებში და მათ დროში მოხდა აღდგომაც, რომელ დღესასწაულებში, მართლა შემთხვევით, ბევრი გაიყიდა სანთლი. ეს შემოსავალი შემთხვევითია და არა კომიტეტის გამჭრიახობით. წინანდელ დროში უწეტესად ბევრი შემდიოდა, ვინემ ამ უკანასკნელ ექვს თვეში შემოსულა. ნუ დაივიწყებთ მამან იმას, რომ რაც სანთლი გაიყიდა ახალი კამიტეტის, სულ ძველი გამგეობისაგან ჩაბარდათ დამზადებული და რა გააკეთა ახალმა კამიტეტმა?! არავერი. მათი სიტყვისაგან სჩანს,

კითომც ჩვენ არაფერი არ გაგვიკეთებია, მაგრამ ეს ტყუილია. წინა გამგებლების ხელში სანთელიც ბევრი იყიდებოდა და შემოსავალიც კარგად შემოდიოდა.

დეპ. მდ. ს. მჭედლიძე. არ შეიძლება პროექტის მიღება, არ შეიძლება. კამისია დაინიშნოს და შემდეგ კრებაზე ვიქონიოთ მსჯელობა.

დეპ. დ. და-ძე ვთხოვ დეკ. მ. ცაგარეეშვილს და სხვასაც, როდესაც რამე წინადალებას უარყოფდენ და არწმუნებდენ ამეზედ მსმენელთ, ყოველთვის თავის სიტყვების დასამტკიცებელად წარმოადგენდენ სარწმუნო დასაბუთებულ ფაქტებს და არა მარტო ლიტონ სიტყვებს მღვდ. მ. ს. მჭედლიძესავით „არ შეიძლება — არ შეიძლება“ საჭიროა ამასთანავე, რომ მსჯელობის დროს ერთი საგნიდგან მეორეზე არ გადადიოდენ. პროექტზე თუ ნებავს ვისმეს მსჯელობა, უნდა მარტო პროექტზედ სჯიდენ და პროექტიდან უსაფუძვლოთ შესავალ-გასავალზედ არ უნდა გადაქირნდეთ მსჯელობა.. ჩვენ წარუდგინეთ კრებას ოვრური ანგარიში და ნახევარი წლისა ერთად. აგრეთვე წარვუდგინეთ წლიური ანგარიში ძველი 1895 წ. დეკემბრის 21-დე. წიგნები და ანგარიშები აგერ გახდავთ. რომ ბრძანებთ, რომ ჩვენს დროს ბევრი ფული შემოდიოდა, აბა მოგვინახეთ წიგნებში და დაგვისახელეთ, სად არის ეს ბევრი შემოსული ფული. დეკ. მ. ც—ლი ამბობს, რომ ამ წელიწადში შობის დღესასწაულებზედ და აღდგომას ბევრი სანთელი გაიყიდაო!? ამ წელში უბედური ზამთრისა და რღვნობისა გამო გზა შეკრული იყო, ხალხი არ დადიოდა და ვაჭრობა სანთლისა მეტის მეტად შეტკირებული იყო. ეს ვგონებ ყველამ კარგად იცის და არავინ მოტყუცდება, რამდენიც უნდა ამტკიცონ ლიტონი სიტყვით, რომ ეს ანგარიში შემთხვევითა. რაიცა შეეხება მ. დეკანოზის დამტკიცებას, ვითომ ძველი წესწყობილებით კარგად მიდიოდა სანთლის ვაჭრობის საქმე, ეს სწორედ გასაცარია. ჯერ მე დავუმტკიცებ კრებას ცხადად და აშკარად თუ რა სარგებლობა შემოდიოდა თითო ფუთ ჩამოსხმული და გასყიდული სანთლისაგან, და შემდეგ დავუმტკიცებ, (თუ კიდევ ვინმეს ამის დამტკიცება ეჭივრება), რამდენად უფრგისი იყო სანთლის ვაჭრობის ძველი მართვა-გამგება.

რომ ცხადათ დაინახოს ცველამ ძველი წეს-წყო-

ბილებით ვაჭრობის შემოსავალი, ჩვენ ვიანგარიშოთ რამდენ ფასად უჯდებოდა ერთი ფუთზე სანთლისა დამზადება ქარხანას და რა სარგებლობა შემოდიოდა. ავილოთ უკანასკნელი წლის წიგნი. ამ წიგნიდან სჩანს, რომ ერთი ერთმანერთზე სანთელის ცვილი უყიდიათ 26 მან. ფუთი, ბ. იოსელიანისათვის უძლევიათ ფუთზე ოთხი მან. ჩამოსახმელი და ორი გირვანქაც სანთელი ზედმეტი. 26 მ. +4 მ.=30 მ. ორი გირვანქა სანთლის ფასი შეადგენს 1 მ. 30 კ. 30 მ.+1 30 კ.=31 მ. 30 კ. როდესაც კონტრაგენტი იოსელიანი ჩამოსხმულ სანთელს ქარხნის გამგეს აბარებდა და ოთხ გირვანქას აკლებდა, რადგანაც ამ ოთხი გირვანქის სამაგიეროდ ათვლიდა სახვევ ქალალდეს, ოკებს და პატრუქს. ოთხი გირვანქა სანთლის ფასი რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 2 მან. 40 კ. 31 მ. 30 კ.+2 მ. 40 კ.=33 მან. 70 კაპ. ქარხანა ყიდის ფუთს 40 მან. მაშასადამე მოგებად რჩება მას 40 მ.—33 მ. 70 კ.=6 მ. 30 კ. რამდენიც უნდა გაადიოდოს ადამიანმა შემოსავალი, ამ ფუთის შემოსავალს ვერას გზით ვერ მოემატება. ვთქათ გაიყიდა 500 ფუთი სანთელი. მოგება დარჩება სულ 3150 მან. ახლა უნდა დავუმტოოთ ამას ღერობით გაყიდული სანთლის შემოსავალი. მივიდეთ ამაზედ ნამწვი სანთლის შემოსავალიც, რომელიც ქარხანას იაფად უჯდებოდა. სულ შეადგენს არა ნაკლებ 4000—5000 მან. ამასთან მიაქციეთ ყურადღება, თუ რამდენი გადიოდა ჯამაგირებათ სხვა და სხვა პირებზე და დარწმუნდებით, რომ საიმისო სახარბიერო შემოსავალი არ ყოფილა. ეხლა ავილოთ ბოლო ხნების წარმოების მართვა-გამგეობა და ვიანგარიშოთ თუ რა მოგება რჩება თვითეულ ფუთზედ. ჩოგორც სჩანს ამ შესავალ-გასავლის წიგნებიდან, ფუთი სანთელი სყიდულა ერთი ერთმანერთზედ 24 მან. ფუთი სანთლის ჩამოსხმისათვის დახარჯულა 3 მან. 24+3=27 მან. ორი გირვანქა ძველებურადვე საჭუჭყოდ ეძლევა ისტატს, სამ-სამი აბაზობისგან მოუწეს 1 მ. 20 კ. 27+1 მ. 20 კ.=28 მ. 20 კ. 42 გირვანქა ცვილ-ში ჩვენ ვიღებთ სწორედ ორმოც გირვანქა ჩამოსხმულ სანთელს. ხოლო პატრუქს, სახვევ ქალალდეს და თოკებს რამდენსაც ვაძლევთ ცალკე ანგარიშით წონით, იმდენსავე ვიბრუნებთ უკან. სულ გასავალი ფუთ ჩამოსხმულ სანთელზე არის 28 მან. 20 კაპ. მაშასადამე წმინდა მოგება თითო ფუთზე ქარხანას

რჩება 11 მან. 80 კ. ვგონებთ ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩველი წესწყობილებით უფრო ნაკლები სარგებლობა დარჩენილი ვინერ დღეს რჩება. ძველ ანგარიშს ვერც აღდგომის და ვერც შობის დღესასწაულები ვერ გამოაკეთებს.

ღმ. გ. ტ—ლ. ბატონებო, დეკ. ლამბაშიძის სიტყვით გამოდის, რომ ჩვენ სრულებით არაფერი გვცოდნია სანთლის საქმის წარმოების შესახებ. მისი ანგარიშით გამოდის, რომ ყოველ წელიწადს რაღაც 3000 მან. შემოსულა, მაგრამ ეს მართალი არ არის. წელიწადში ხანდისხან 6000 შემოდიოდა. ქარხანას დიდი ვალი ჰქონდა, დღეს კაპეიკი არ მართებს. ხაზინის ფულის შესაცემლად და ეპარქიალური სკოლისათვის ყოველთვის შედიოდა სანთლის მოვებიდან ფული და კიდევ რამდენი სხვა ხარჯი იფარებოდა! ასე სჯა როგორ შეიძლება! ნახეთ ბბ. ეს წიგნები და შეიტყობო, რომ სანთლი ძველ დროშიაც ყიდულა ხოლმე 20, 22 და 24 მან. სანთლი ხან ძვირია, ხან კი იაფი. ისევლიანი სახვევ ქალალდს სანთლად ათვლიდა ქარხანასაო. აბა როგორ ვნებავთ ბატონებო? განა შეიძლება კაცმა უპატრუქოთ სანთლი ჩამოასხას, ანუ სანთლის ქარხნიდან ქალალდ შემოუხვეველი სანთლი წაილოს? მოითხოვთ ანგარიში და დარწმუნდებით, რომ სანთლის საქმე კარგად იყო დაყენებული. როდესაც პირველად სანთლის ქარხნის საქმის წარმოება მომანდო მღვდელთმთავარმა, სრულებით არაფერი არ ვიკოდი ამ საქმის, მაგრამ ბოლო დროს შევისწავლეთ. თუ ეხლა კარგად შეიძლება საქმის წაყვანა, ეს იმიტომ რომ, როგორც იტყიან, წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო. ეხლა, ჩასაკვირველია, უფრო სააღვილოა მიხედვეს კაცი და ასცილდეს შეცდომას. ბოროტ განზრახვით უუდი არაფერი არ ჩადენილა ჩვენის მხრით, და შეცდომით თუ მოხდა ფულის გაფლანგვა, იმისთანა კაცებისაგან, როგორიც იყო რასკინი, რას ვიზამდით? მღვდელთმთავარი ისე იყო დანდობილი მაზედ, რომ ყველაზე შეტი ნდობა იმას ჰქონდა. მისი კი ყველას თითქმის გვეშინოდა და გვეხათრებოდა. განვიმეორებ კიდევ, ახალ კომიტეტს არაფერი. არ გაუკეთებია შესანიშნავი. მოკვარაჭინებული სიტყვით ნურავინ ნუ მოტყუვდებით...

ღვ. ღ. ღამბაშექ. მეტად სამწუხარო არის, რომ ხშირად იმისთანა რამებზედ გჭირდება ადანიანს დამტკიცების მოყვანა, რაიც კი სრულებით ცხადი

და უეჭველი უნდა იყოს ყველასათვის. დეკანოზი ჩვენ მიგვითითებს რაღაც შედგენილ ანგარიშებზე. ბატონებო, ხომ იკოდენ, რომ დღეს ამ საგაძხედ იქნებოდა მსჯელობა. რატომ არ წარმოადგინეს ეს შედგენილი ანგარიშები მათ სიტყვების დასამტკიცებლად! გარწმუნებთ ყველას, რომ არსად დაწვრილებით ანგარიში სანთლის ქარხნისა და წარმოებისა არ არის. მრავალ გზის ვთხოვთ სანთლის ქარხნის გამგეთ, გადმოეცათ ეს ანგარიშები დასაბეჭდათ და გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ვერ ველირსეთ ამას. დასაბეჭდი არა თუ ფული არ გვითხოვთ, არამედ პირიქით ვიძლეოდით, მაგრამ მაინც არ მოხერხდა. მათემატიკურად დავამტკიცეთ, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა სანთელს წინად, და რა მოაქვს დღეს. ვინ არ მიხვდება, თუ რა განსხვავებაა ექვს მანეთსა და თორმეტ მანეთს. შუა. მაგრამ მაინც კიდევ თავისას ამბობენ. ეხლა კითხვით მოგმართავთ და გთხოვთ პასუხი მოგვცეთ. წელიწადში სანთლის ქარხანა ხმარობდა 50 ფულთამდევნართს, პატრუქს, სახვევ ქალალდს და თოკებს. ესეც ხომ სანთლის კვალობაზედ იყიდებოდა ფული ორმოც მანეთად. მარტო ეს ფული შეადგენდა თითქმის 2000 მან. მშასადამე 8 წლის განმავლობაში უნდა შემოსულიყო 16,000 მან-დე. აბა მიგვითითეთ სად გახლავთ ჩაწერილი ანუ სად სჩანს ეს ფულები. განა ასეთი უვიცობა შესაძლებელია, რომ ამას ადამიანი ვერ მიმხვდრიყო!?

ბძანებენ პირველად საქმის სრულიად არა გაგვეგბოდათო. თქვე, დალოცვილებო, თუ არა გაგვეგბოდათ დიახოებისა და მედავიონების დაკითხვეს, ბარემ ჩვენ დაგვითხოდით, რომელთაც იმნაირივე გამოცდილება გვქონდა ამ საქმისა მაშინ, რამდენიც დღეს! მაგრამ ჩვენ როგორ დაგვეკითხებოდით, სოფლის მღვდელს!... გაკვირვებით წარმოაქვეს, ვის გაუგონია სანთელი უპატრუქოდ ჩამოსხმულიო, ანუ უქალალდოთ გამოტანილიო. სწორედ სასაცინო პასუხია, რომ ასე სამწუხარო არ იყოს. ჩვენ იმას კი არ მოგახსენებთ, რომ უპატრუქოდ ჩამოსხმულიყო სანთელი, ან და ქალალდი არ შემოხვეოდა. რატომ ისე არ იქცეოდით, როგორც ჩვენ ვიქცევით? ე. ი. პატრუქს, სახვევ ქალალდს და თოკებს წინათ ვაბარებთ ოსტატს და სანთლის ჩაბარების დროს მის წონას სანთლის წინაში არ ვიღებთ. მართლია, ფულია საჭირო ქალალდისა და პატრუქს საყიდლად, მაგრამ ნუ დაივიწვებთ იმას, რომ პატ-

რუქი ღირს ფუთი 15 მანეთად და სახვევი ქალალი 2 - 3 მანეთამდე. ფუთი სანთელი კი ღირს 40 მან. რომ გაიძახოდენ კონტრაგენტს ფუთზე 1 მანეთის მეტი არა აქვს მოგებათ და ამისათვის ორი ათას ხუთასი მანეთი აჩუქეს სათავდებო ფული, რატომ ზედამხედველი კომიტეტი სრულებით არაფერს არ ამბობდა? რვა წლის განმავლობაში ამდენი ფულები რად დაჭკარგა სანთლის ქარხანამ სახვევი ქალალდებით და პატრუქებით? 3500 მანეთის გადასახადი სანთლის ქარხანას ხაზინის ფულის შესავსებელად და ქალების სკოლისათვის ყოველ წლობით დაედვა 1892 წლიდან. მაშინ ნინანდელი შემოსული ფული სადღა უნდა წასულიყო, თუ ქარხნის ვალსაც არ გაისტუმრებდა? ქარხნის ვალი დიდი იყო და არ ასახელებენ კი რაოდენობას. ქარხანა არსებობს 1888 წლიდან და ერთი გვიბძონეთ, რამდენი იყო შემოსავალი და ან რაში დაიხარჯა?

დეპ. მდ. ს. მჭედლიძე. მამანო დეპუტატონ, მათქვეინეთ იურიდიუ სიტყვა. (ხმაურობა არის). გთხოვთ მომცეთ იურიდიუ სიტყვის ნება.

მდ. გ. ხუსგივაძე. რა დროს სიტყვის თქმის დროა. რომელ კითხვაზედაც ვადგივართ, ის კითხვა დაასრულონ.

დეპ. ს. მჭედლიძე. მომეცით ნება თქმის, მოკლედ მოგახსენებთ, მამაო თავმჯდომარე. (აძლევს ნებას). მე იმას მოგახსენებთ, რომ სანთლის ქარხნის წესდების პროექტის მიღება არ შეიძლება ეხლა. დაინიშნოს კომისია და კომისიამ განიხილოს ყველაზერთ და მოგვახსენოს შემდეგ კრებაზე, თორებ არ შეიძლება განუხილველად მიღება და დამტკიცება. (მდ. ს. მჭედლის გამოთქმულ აზრს ეთნისმება ბიძა მისი, სვანეთიდან ჩამოსული, მდ. ზაქ. მჭედლები).

დეპ. გ. ც-ლა. მე გთხოვთ, მამანო დეპუტატონ, მომეცით ნება იურიდიუ სიტყვის თქმისა და გაძლევთ პირობას და პატიოსან სიტყვას, ამიერიდგან არავითარ თქვენ საზოგადო სამსახურის საქმეში არ გავერიო; არ გავერიო იმისთანა საქმეში, რომელშიაც საზოგადოებაზე და სამღვდღლოებაზეა დამკიდებული კაცის სამსახურის დაფასება. იქ, სადაც გულით და სულით ვემსახურებოდი საქმეს, ბოლოს სამდურაობის მეტი მე ვერაფერი ვნახე. აფილოთ თუგინდ სანთლის საქმეს; რამდენი უსიამოვნება შემხედა, რამდენი შრომა და ბოლოს იმასაც დავემსახურე, რომ ზოგიერთების თითოთ საჩვენებელი შევიქნით. არ

მინდოდა შეთქვა ყველაფერი, მაგრამ ურა დროშე უნდა დავფარო! მეტი ღონეარ არის, ყველაფერი უნდა ვთქვა. ვითხოვ ერთი ათი მინუტის მოთმინებას და პირობას ვდებ, ამიერიდგან ჩემი სიტყვა არავინ არ გაიგონოს კრებაზე და არც არავინ მნახოს, რომ კრებაზე მშევლელიაში მონაწილეობა მიყილო. მოგეხსენებათ, პირველად რომ სანთლის ქარხანა გავხსენით, ყოველ მხარეზე წერილები დაფაგზავნეთ და ოსტატებს ვიწვევდით. არსაიდგან კაცი არ ჩანდა ოსტატი. ბოლოს გამოცხადდა ერთი კაცი საიდგანლაც, როგორც სანთლის ქარხნის ოსტატი. დავიყენეთ ქარხანაში. ამას მიუწინეთ ერთი სანდო გურული კაცი ზედამხედველად და ყარაულად. ერთ დილას ამ ჩვენ ზედამხედველს გაუტენია ჩამოსხმული სანთლით ხურჯინი და „სალორიაზე“ დაწევია ოსტატი სა - ვი. ბევრი უცემია ამ ჩვენი ზედამხედველისათვის ამ ოსტატს და გატენილი ხურჯინიანა უკან მოუთრევია. ზედამხედველი გავაგდეთ. ამ ოსტატისათვის კი სხვა ზედამხედველის მიჩნა ამის შემდეგ კიდეც ვისირცხვეთ და მარტო მას დავენდვეთ. მუშაობდა კარგად. გავიხდეთ და ამ ჩვენშა ოსტატმა 70 ფუთ სანთელს დახვია ხელი და გაქრა საღლაცა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, კაცი კი ვნახეთ, მაგრამ სანთელი მაინც დაიკარგა 2500 გ. მეტის სალირალი... რამდენი უსიამოვნება მივიყენეთ, კაცი ვერ მოთვლის. ის ამ ბოლო დროსაც საიდანლაც, უცნობი ადგილიდან მოვიდა ის შეჩვენებული რასკინი და ისეთი ყურადღება დაიმსახურა ყოვლად სამღვდელისი, რომ, როგორც წინეთაც მოვიხსენიეთ, ყველას გვეხატრებოდა მისი. იმანაც დაწვია სანთლის ფულს 3000 მანეთამდე ხელი და გაჰქიცა. რა ხმები არ დაყარეს, რა არ სთქვეს. ზოგიერთები იმასაც კი ამტკიცებდენ, ვითომც რასკინი ჩვენ გაგვეპარებისა და იმას არაფერი ფულები არ წაეღოს. ერთი სიტყვით, ზედამხედველი კუმატეტის წევრებს თითოთ გვაჩვენებდენ საზოგადოებას. რისთვის? რაზედ — ეს ღმერთმა იცის! ჩვენ მართალია ზედამხედველი კომიტეტის წევრები ვიყავით, მაგრამ ყოვლად სამღვდელო ხშირად სხვას გზავნიდა სანთლის ქარხნის და საწყობის სარევიზიოდ. ჩვენ კი გული აღარ მიგვდონდა ამ მოვალეობაზე და არც შევიმოწმები. ისტატან კონტრაგენტად და თავდებათ გვყავდა პიონერიანი და არა რამე ცუდი განზრახვით, როგორც ზოგიერთები ამას ამტკიცებდნ. იოსელიანი

შეძლებული კაცია და ოსტატმა, რომ რამე დაკარგოს, ის იზღვდა... (სხვათა შორის დაუმატა):

აიღეთ, მამანო, თუგინდ საქალებო ეპარქიალური სასწავლებელი: არამდენი შრომა მიკილეთ და რამდენს ვშრომობთ ამ სასწავლებლისათვის, მაგრამ მადლობის მაგიერ, უმაღურობის მეტი არა მესმის რა სამღვდელოებისაგან. აიღეთ თუგინდ სამრევლო სკოლების ჩემევის საქმეც. განა აქ ცოტა შრომა გვაქვს და ჯაფა? მაგრამ რა გამოდის, ჩვენ ისევ ის სამღურავი გვესმის ზოგიერთებისაგან, რასაც ვისმენთ ხოლმე სხვა დაწესებულებათა შინა. ამისათვის აღარ შეგვიძლია სწორეთ ამდენი უსიამოვნების ატანა და გარდავსწყვიტეთ, ამიერიდგან არავითარი მონაწილეობა არ მივიღოთ არც ერთ თქვენს საქმეში იმიტომ რომ მადლობის მაგიერ იმას დაემსახურება კაცი, რასაც თქვენის შხრით დღემდის დავემსახურეთ. ამის შემდეგ არც სიტყვით შეგაწუხებთ და არც თქვენს საზოგადო საქმეში გარევით...

დაასრულა თუ არა ეს სიტყვა ც - ლმა, იგი დაჯდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა კრებაზე, რომ ბუზის გაფრენას გაიგონ ებდით. დეკ. დ. ლამბაშიძე მოახსენა მას საპასუხოდ:

დეკ. დ. ლამბაშიძე. მამა დეკ. ცაგარეეშვილის სიტყვას როგორც მე, ისე მთელი კრება გულსმოდგინედ ფისტენდით. არ შემიძლია გულითადი მადლობა არ გამოვუკაბო მამა დეკანზეს ცაგარეეშვილს იმ გულახდილი სიტყვისათვის, რომელიც ჩვენ ეხლა შოვისმინეთ მისგან. მადლობას ვუცხადებთ იმისთვის კი არა, რომ თქვა: „ამიერიდგან თქვენთან არღარა ვიმსახუროო“, არა, იმისათვის, რომ სანთლის ქარხნის საქმის შესახებ დაგვისურათა ის წესწყობილება, რაც ჩვენ დანიშნამდის ყოფილა. დარწმუნებული ვარ, ყველა მიხვდება, თუ როგორ ცუდათ ყოფილა ჩვენში დაყენებული სანთლის ქარხნის და სანთლის წარმოების საქმე, თუმცა ამ გაჭირებას ყოველთვის ადვილად ასცდებოდა კაცი. რაიცა შეეხება დეკანზის დანარჩენ სამღურავს, მიმართულს საზოგადოებისადმი, ვითომ და მისი სამსახურის დაუფასებლობისათვის, ჩვენ გაკეთდებული ვართ და ვერ აგვისხნია, თუ რამ მიიყვანა და რამ აიძულა დეკ. ც - ლი ამ სიტყვების გამოთქმას. ჩემთვის სწორეთ გაუგებელია, ვინ ემდურის მას როგორც ქალების და სამრევლო სკოლების გამგეობის თავსმჯდომარეს?! როგორ შეიძლება ისე ემსახუროს იძინებოდა და დაუდგინდებოდა უძონ

კაცი საზოგადოებას, რომ ერთი ორი მომდებრევია არ ჰყავანდეს? მართალია, ის კაცი კლდელური სწორეთ, როდესაც მთელი საზოგადოება, რომელსაც ის ემსახურება, მისი მომდებრევია; მაგრამ ეს ითქმის მაშინ, როცა უმეტესობა მომდებრევი და არა ერთი ორი პირი. არ იფიქროთ მამაო დეკანზო, არ წარმოიდგინოთ, რომ საზოგადოებამ კაცის გულწრფელი სამსახური მოძმისა, მამულისა და ეკალესის სა-სარგებლოდ არ დააფასოს და ვერ შეიტყოს. დღეს თუ ვერ შეიტყოს ხვალ, ზეგ, ან შემდეგ დროში, უთუოდ გაიგებს. კაცის სიმართლე იქნება დღეს დაფარონ, მაგრამ შემდეგ იგი თავს იჩენს და ერთი ორად გომბირშეყიდება. თუ საზოგადოებაში გამოჩნდებიან ერთი ორი და სამი პირი, რომელიც შენს წრფელს სამსახურს ბნელს მოპევენს და უკუღ-მართად განმარტავს, განა ამან უნდა შეაწუხოს კაცი? განა ეს საწყენია და ამისთვის უნდა მიატოვო კაცმა საზოგადოების სამსახური? ნუ თუ ფიქრობთ, რომ მარტო თქვენ გყავდეთ ზოგიერთები მომდებრებული და სხვას არა? საზოგადოდ, ვეონებ, თქვენი აზრი შემცდარია იმის შესახებ, რომ ყველგან, საღაც ემსახურებით საზოგადო სხვა და სხვა დაწესებულებას, ვითომ ყველანი გემდებროდენ. კაცი თუ გულწრფელად ემსახურება საზოგადოებას, საზოგადოება კი ვერ აფასებს მის შრომას და ღვაწლს, ამანაც არ უნდა გაუტეხოს გული კაცს. ამისთანა შემთხვევაში წრფელი მუშაკის გულში მაინც სამოთხეა და სამდებრევი საზოგადოებისა გულის წლულს ვერ გაუჩენს. თუ ეხლანდელი თაობა არ დააფასებს კაცის შრომას და ღვაწლს, იცოდეთ, შემდეგი თაობა უთუოდ დააფასებს და კეთილი მოღვაწე ისე სულწასული არ უნდა იყოს, რომ დათესილის ნაყოფის მოკრეფა მეორე დღეს მოინდომოს!..

დიდი სიმხდალეა, მუშაკმა უსიამოვნების შეცედრით ანუ მოლოდინით, საზოგადოების სამსახურს თავი დაანებოს!.. ასე რომ ეფიქრათ ჩვენ მოციქულებს და მუშაკებს, არაფერი არ გაკეთდებოდა. ასე თუ ვსაჯეთ, ვერც არაფერს ჩვენ გავაკეთებთ. თუ კაცი გამსჭვალული ხარ ჭეშმარიტებას და სიმართლეს ემსახურო, არა თუ უსიამოვნება, ჯოხის დაკვრაც რომ მოგელოდეს, მაინც არ უნდა შეშინდე დუკან არ დაიწიო. სად გინახავთ ჭეშმარიტი მუშაკი, რომ დაფნის გვირგვინებს აღგამდენ ყოველ ფეხის გადადგმაზე?..

გთხოვთ უკანვე წაილოთ თქვენგან წარმოთქმული სიტყვები: „ამიერიდგან თქვენთან აღარ ვიმსახურო საზოგადო საქმეშიო“. მაკვირვებს ეს თქვენი სიტყვები და თანაც გულს მიკლავს. იმ დროს, რომა ასე საჭიროა მაღალი სწავლით აღჭურვილი კაცების რჩევა-დარიგება და სამსახური, თქვენ ფიცით გვიცხადებთ, რომ ამიერიდგან თქვენს სამსახურზე ხელს ვიღებ და არაფერ საქმეში არ გავერევიო. განსაკუთრებით იმისთანა სამსახურში, რომელიც დამოკიდებულია სამღვდელოებაზე. რამ მიგიყვანათ ამ სიტყვებამდისინ? იქნება უმართლოთ დაგწამესთ რამე? რაა მერე? აღარ გახსოვთ ფილოსოფოსის სოკრატის უკანასკნელი დღენი? ის სიკვდილსაც კი ხალისით ეგებებოდა, რაღაც გრძნობდა, რომ უმართლოთ ეკიდებოდენ. ვის გულშიდაც სრულებით არ არის გამქრალი მოძმის სიყვარული, ვის გულშიდაც გამჯდარია ქრისტეს სწავლა-მეცნიერება, მამულისა და ეკალესის სამსახურის მოვალეობის ცოდნა — ის არა-სოდეს არ მოერიდება უსიამოვნებას და ლკან არ დაიხევს. იმედი მაქს, თქვენ ხელს მოგვცემთ და ერთად იმუშავებთ ჩვენთან ჩვენ მოძმეთა საკეთილოდ, ჩვენი ეკალესისა და მემამულეთა სასარგებლოდ. არ იფიქროთ, რომ კეთილი მოვაწეობა და წრფელი სამსახური ოდესმე ღირსეულად დაფასებული არ იქნეს და შთამაობამ კეთილად არ მოიხსენოს...

ეს სიტყვა დეკ. დ. ლამბაშიძისა თითქმის მთელი კრების გულისტქმა იყო და ამისათვის კრებ ამ სრული თანაგრძნობა გამოიუწხადა ღამ — ძეს ამ სიტყვისათვის. ბოლოს ლამბაშიძემ პროექტის შესახებ მიმართა დეკ. გ. ც—შვილს და ჰკიოთხა: ჩემთვის დიდი საჭირო არ არის მღვ. ს. მჭ—ძის შეხედულება ჩვენი პროექტის შესახებ, გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი ზრით. დეკ. ც—ლმა გაიაცხადა, რომ აღელვებულობის გამო არ შემიძლია რამე ვთქვა წაკითხული პროექტის შესახებაო. კრება დაიხურა მეორე დღის დღის ცხრა საათამდის...

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მცენი დროშს თავგადასიავალი.

(გაგრძელება *).

დავთ მეფისა და აღმაშენებელისაგან შამახისა დათხრილსა შინა სარკინოზო რაზებოთ გაწყვეტა, და სულტნისა დიდებისა და საუნჯისა სრულიად ხელთვება, და ქართველთაგან სპარსთა დანაშობმა წილით აღდესა და აღაუთაგან მრავლება დიდად.

უბრძანა სპათა, კისკასად სიმაგრეს გადავიდიან, თავსა დაეცნენ, სარკინოზო ვითა ქვრიმათა სტრილიან, არ აკოტხლებდენ არასად ყმათა და ბერთა ჰკვლილიან.

დასდგა მდინარე, სისხლთაგან ვითა რიონი მიღიან. სრულად მოსრეს რიცხვით უცნო ქრისტეს სჯულთა მოძულებინი, ხელნი მიჰყვნეს, გამოზიდნეს უთვალავნი საჭურჭლენი,

ვითა მთანი დაგროეს ნაშოვართა სიმრავლენი, დაიპყრა გულისტანიცა, აღასნა თანმოახლენი.

მუნით მოიქცა გეგულად მეფე მებრძოლთა მძლეველი, სრულად აღავსო ლაშქარნი, ვერდა არნ ნივთთა მტეველი, განდიღნა დავით, შვებითა არის წელისა მრხველი, ათეულისა მარადის იყო სამღვდელოთ მძლეველი.

დავით მეფისა და აღმაშენებელისა გარდასვლა დარუბანდს და მუნ ბეკაბრეთა და ქურდთა ლექთა მოსპობა და განგება მუნებურთა, და მის კერძოთა ყივჩაყთაცა ბარბაროზებრთა საქმეთაგან დაყენება და დაწყარება ერთა მათ, და აღებაციხისა და ლიზონდისა:

შემდგომ გარდვიდა დარუბანდს, მოსრვიდა ლეკა თა ქურდებსა, სხვა მის კერძოთა ყივჩაყთა ბარბაროზებსა ცუდებსა, აღილო ციხე ლისანნი, ლოზონდს უქცევდა ზღუდებსა,

მათ ადგილებთა მემზღვრეთა გულს უწრფელებდა მრუდებსა.

დავით მეფესა და აღმაშენებელისა მოსვლა სომხითს და მუნებურთა ციხეთ აღება, და მიერ მისვლა კარნიფორ, ბასინ, სპერსა, ბათუმისა, ოლთისუ და მუნ მყოფთა თურქთა მოწყვეტა.

ვითა არწივი, ფრთე მალი მოვიდა სომხითს
არებსა,
სომხითართ ციხეთ იპყრობდა, სიმტკიცით მყარად
მდგარებსა,
შელეწდა გავსა, ტერნაყალს, გავაზანს რკინის კა-
რებსა, ნოიბედ, შანას, გომსადა, ტალინ ჯაჭარსა ჩქარებსა.
ესენი თვისად დაიპრა, განვლო ჯავახეთს კა-
ლოსა,
კარნიფორ-ბასინ-სპერსა რაზმი იქმს თანაყოლასა,
მოსწყვიტნა თურქი ყოვლითურთ, არ ძალ აქვს
ხმობა მოლასა,
ჩამოვლო ბუიათყური, ოლთის თურქი ჰსუა ძრწო-
ლასა.

გარდმოვლო თრიალეონი და ბოჟანას ჰყოფდა
დგომასა,
მუნ წარუდგენდნენ მეფესა ანის ქალაქელთ ნდომასა,
მოგათვალოთო სიმაგრე, თუ არ მიხედავ შრომასა.

დავით მეფისა და აღმაშენებელისა მისვლა ანის ქალაქს, და
დაპყრობა ყოველთა გარემოებათა მისთა, და თვით ქალაქი-
საცა, და მოწყვეტა ყოველთა სარკინოზთა და დარღვევა სა-
ცურჭლეთა მათთა, და ანის ქალაქსა შინა განახლება დიდისა
მის და შვერიერისა ტაძრისა, რომელიცა იყო აღშენებული
ბერძნთა კეისრის ასულისა და მუნებურის დედოფლის კატ-
ორნიესაგან, რომელიცა ემარხა თვით მასვე ტაძარსა შინა,
საღაცა დასძახა დავით მეფემან გიხარღდენი, და საფლავმან
ხმა მოსცა მადლობისა ლვთისა:

ჯარი სამოცი ათასი მეფეს ამალად ჰყვებოდა,
საღაცა იყვის, მუნ აწლდენ, აროდეს დააკლდებოდა,
მათით წარვიდა ანისად, სიმსწრაფლით იარებოდა,
სხვათა სპათათვის საწვევრად ბრძანება ივლინებოდა.
მიბრძანდა, სამ დღე ანისი აღილო თვისის
მზღვრებითა,
შეიპყრნა ალფასიანი, მოსწყვიტნა მახვილ მჭრე-
ბითა,
რომელთა დიდი ტაძარი, მიზგით ჰყვის შეცვალე-
ბითა,

რომელი კატრონიკასგან ჰშენოდა აღშენებითა.

იწვივა კათოლიკოსი, მღვდელთ-მთავართ იასი
შეცვალდა,
მაშინ მათ გამო ტაძარი კურთხევით განახლდებოდა,
თუ ჰსონი მას უამსა შვებითა მზე მეტად განათლ-
დებოდა,

შიშით და კრძალვით ტარიგი უბიწო იმსვე ჩალე-
ბოდა.

მეფემ იკითხა საფლავი კატრონიკ დელფი-
ლისა,
უჩვენეს, საღა შემკობით იყო სახილველ თვალისა;
ზედა დაადგა, ისმინეთ სარწმუნოების ძალისა,
ესე არს საქმე ზეგარდმო, არ ხრწნადად წარმავა-
ლისა.

დაჰყივლა საფლავს ხმამაღლად, მეფე არს ესრეთ
მთებელია,
გიხარღენო დედოფლას, მოისპო იგართ ხელია,
აპა, ტაძარსა შენგან ქმნილს არს მსხვერპლის შემ-
წირველია,
გმაღლობ ღმერთსაო, საფლავით პასუხის მომგებე-
ლია.

განჰკირთნენ ყოველნი მუნმყოფნი სამარით ხმისა
მსმენელინი,
შეჰსწირეს ღმერთსა დიდება, არიან ცრემლთა მდე-
ნელი,
სხვაც ჰყო მეფემ მრავლგვარად საქმენი მოსახსე-
ნელი,
ვინცა იკითხავს ცხოვრებას, არს გულთა მოსალე-
ნელი.

დავითის მიერ სიბრძნითა ყოველნი განიგებო-
დეს,
ეპკლესიანი ჰყვაოდეს, ქალაქნი აღშენდებოდეს,
ეითა ვარსკვლავნი, ურიცხვად ქართველნი განმრავლ-
დებოდეს,
დასაბამიდგან უშენნი შენობად მოეგებოდეს.

დასწყინარდა ყოვლნი კიდენი, ცანი მშვიდობას
სთოვდინ.
დიდ-დიდნი ზეანი მპყრობელნი ძლვენითა ზაქა
ჰსონის კიდენი, და ოქროს სიმრავლით ვით ქვიშეს შეა-
ვეცხლისა და ოქროს სიმრავლით ვით ქვიშეს შეა-
როვდინ,
კნინდა ურთ ერთის მოყვარეთ მგელნი კრავთან
ჰსძოვდინ.

ესთ იცის ღმერთმან დიდება თვისისა მოყვარუ-
ლისა,

განვრძობა დღეთა და მარად ნიჭება სიხარულისა, ვინცა არ ესავს, მალე ხვდეს სიმწარით ტკენა გულისა,

აქა მიეცეს ბოროტი, მუნ კვლა წარწყმენდა სულისა.

თვით ესე მეფე ძლიერი, უშენთა აღმაშენები, იყო მარადის ღვთისადმი სურვილით ცრემლთა მდე-
ნები, გლახაკთა ზრდიდა, ქვრივ-ობოლთ, იღვწიდა შეუს-
ვენები, სნეულთა თვისის ხელითა განკუურნის მძიმე სენები.

ხორციელს განსაგებელსა რა მორჩის მყისვე
თანადა, იწყებდეს ლოცვას მხერვალედ, ჰქონდა ღაწვთ ცრემ-
ლით ბანადა.

მწუხრსა, დილეულ და სამხრად, ჰყვის ლოცვა თა-
ნისთანადა,

ესე ვითარმან ტრუობამან ზესთ ხედვად აღიყვანადა.

მას მეფობისა დიდებას, ვითა ნაგესა ჰრაცხევდა, ყოველსა აქა მყოფობას ზენასთვის შეურაცხებდა, დამასკელისა მკითხველი გლოვა-სულოქმითა ახებდა, ეკლესიათა ამკობდა, გლახაკთა ნივთთა აცხებდა!

შეეტრუობდა ზესთა არსა, გონება აქვს მისდა
მარად, იკითხვიდა ღვთის-მეტყველსა, იგი ჰქმნოდა გულსა
მტკბარად, ქრისტეს მტერთა შეებრძობდა, ვითა ცეცხლი ჰყოფდა
მწვარად,

ენატროდა სოფლით განსვლა წმინდათ კრებულს
შეხვდეს ჩარად.

ალივსო ქართლოსის ხვედრი, ქვეყანა რვათა
მმათანი, არლა სად იყო მავნები სოფლად დავითის ყმათანი, სპარსი ჰყვნა მოძღვნედ, აქვნდათ ყე სიმრავლე
მორთმევათანი, თურქი და მეფე არაბთა იყვნენ მსმენ მისთა ხმა-
თან.

ესრეთ ადიდა მაღალმან თვისივე მაღიდებელი,
უფროს ყოველთა მეფეთა ჰყო სახელისა მკრებელი,
აღავსო უნჯთა სიმრავლით, აქვს ოქრო შეუგებელი,
მისცა მშვიდობით ცხოვრება, არლა სად უჩნდა მვნე-
ბელი.

ახალი ძმიერი და შერიშვნებულებები

იმერეთის ეპარქიაში გაბრიელია საქალებო
სამწავლებლისაგან. რადგან იმერეთის ეპარქიალური
გაბრიელის საქალო სასწავლებელში წელს მოსწავ-
ლები გადავიდენ შემდეგ კლასებში, ამიტომ ამა
წლის პირველ სექტემბრიდან დანიშნულია ბავშე-
ბის მიღება ამა სასწავლებლის მოსამზადებელ კლას-
ში ეგზამენით, რის პროგრამმაც უკვე დაბეჭდილია «მწყემსი». № ში. თხოვნები მეტრიკული აღმოწე-
რილობითურთ ბავშების წლოვანებაზედ უნდა წარ-
მოდგენილ იქმნეს სასწავლებლის საბჭოს სახელზედ
არა უკვიანეს 2 მომავალი აგვისტოისა.

* *

იმერეთის ეპარქიაში სამრევლო სკოლების მე-
თვალყურეთ დამტკიცებულია ქუთ. სემენარიის მას-
წავლებელი მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც თა-
ვის სურვილისამებრ მღვდლიად უნდა ეკურთხოს და
შეირიცხოს ქუთ. კათედრის სობოროს კრებულში
შტატ გარეშე.

* *

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში სამღვდელოებას
კრება ჰქონებია სხვა და სხვა კითხვათა გამო. ამ
კრებაზედ დიდი ბასი ყოფილა სანთლის ქარხნის
შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე რიგიანათ ვერ
დაუყენებიათ. ამავე კრებაზედ სამღვდელოებას ჰქო-
ნებია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ღონე იხმა-
რონ და როგორ მოქცენ, რომ ყოველს ეკალესიას
საჭირო წიგნების ყიდვა შეეძლოს ყოველთვის.

* *

ლეჩებუმის მაზრის სამღვდელოება უკვე გადმო-
რიცხულია იმერეთის ეპარქიაში. ჩვენ ვფიქრობთ,
რომ გურია-სამეგრელოის ეპარქიაში გადარიცხვა
ლეჩებუმის მაზრისა დიდი სამწუხარო იყო სამღვდე-
ლოებისათვის, რადგან ყოველ მღვდლის თითქმის

იმერეთის ეპარქიის შუაგული უნდა გაევლო და მერმე ჩასულიყო ფოთში. ადვილი მისახვედრია, თუ რამ-დენად სასიხარულო იქნება ლეჩხუმელ სამლელელ-ებისათვის ეს განკარგულება.

* * *

იმერეთის და გურია-სამეგრელოის სამლელელ-ების კრებათა გარდასწყვიტეს, რომ ყოველ ეკალე-სიისათვის გამოიწერონ ბ. ფილიმონ ქორიძის მიერ გადაღებული ითანხე ოქროპირის წირვის საგალო-ბელი. სასიხარულო ამბავია, რადგან, როგორც გვპირდება ბ-ნი ქორიძე, ამ პირველი რვეულის შე-მოსული ფულებით უნდა გამოიყეს შემდეგი საგა-ლობლებიც.

* *

არქიმანდრიტ ნიკოლოზის მოკვლის შესახებ კალმახელიძისაგან საქმის ძიება უკვე გათავებულა და სამხედრო სამსჯავროს ბრალმდებელისათვის (პროკუ-რორისათვის) გადაუციათ. ამბობენ, კალმახელიძეს თვითონ უთხოვა, რომ სასჯელი მაღლე გარდასწყვი-ტონ. კალმახელიძე გვარტომობით ოსთაგანი ყო-ფილა. როგორც აღმოჩნდა საჩივრების გამო კი არ გაუკვეციათ მღვდელობისაგან, არამედ მისთვის, რომ მღვდელ-მოქმედების აღკრძალვის შემდეგ, მას რამო-დენიმეჯერ მღვდელ-მოქმედება მაინც შეუსრულებია. ამისათვის კი მღვდელს კანონი განკვეთას უწესებს.

* * *

ორიგორც გაზეთები გვაცნობებს, ჭიათურის გზის შემკეთებელი ინჟინერები პასუხისმგებაში მიუკიათ. ეს ინჟინერები თურმე წყალდიდობის ღროს დაზია-ნებულ ხიდებს და გზებს აკეთებდენ და დიდ ფულს იღებდენ. მაგრამ ყველა ეს ხიდები და გზები ქაღალ-დებზედ უკეთებიათ მხოლოდ, და არა ნამდვილად, დედამიწაზედ. ბოლოს მოუხსენებიათ, ახალმა წყალ-დიდობამ ყველაფერი ისევ წაიღოო. ხელახალი შე-საკეთებელი ფულები მოუთხოვიათ და ბევრიც მი-უდიათ. არ არის ქვეყანაზედ ისეთი უბედურება, რომ ერთის უბედურება ზოგისათვის სასარგებლო არ იყოს. წრევანდელმა წყალდიდობამ და დიდმა სასტიკმა ზამ-

თარმა ბევრი გაამდიდრა, მაგრამ ვა მისთანა გამ-დიდრებას!...

მათხოვის დედათა სავანეში იწყება ახალი შვე-ნიერი ქვითკირის ეკალესია. სრული იმედია, საზო-გადოება თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ დედათა სავა-ნეს. ცოტი ღროის განმავლობაში ამ დედათა სავა-ნემ დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მონასტრებში და ამისთანა სავანებში ფეხს მოიდგამს ჩვენი გა-ლობა და გაწყობილი წირვა-ლოცვის შესრულება. მამათა მონასტრებში გუნდით გალობა, სამწუხაროდ, თითქმის, აღარც კი ისმის არსად.

* *

ჩვენმა რედაქტიამ ერთხელ მიაჭირა საზოგადო-ების ყურადღება გულანების (სრული თოვენის) და-ბეჭდვას. ხელნაწერი გულანები დღესაც მოიძევება ზოგიერთ მონასტრებში და თუ ეს ხელინაწერები გაფუჭდნენ, სრულებით უნდა გამოვეთხოვთ ჩვენი სრული თოვენის დაბეჭდვას, რადგან გიორგი და ევთიმე მთაწმინდელნი ჩვენ აღარ დაგვებადებიან. ვთხოვთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენ საეკ-კლესო წიგნებზე, როგორიმე გზით ვეცადოთ ამ წიგნის დაბეჭდვას.

* *

მამა დიმიტრიმ (აბაშიძე), რომელიც უნივერ-სიტეტის კურსის შესრულების შემდეგ კიევის აკა-დემიაში შევიდა და ბერად აღიკვეცა, ამ წელს შვე-ნივრად დაასრულა აკადემიის კურსი. კურსის დასრუ-ლებისათანავე იგი მღვდელ-მონაზონად აკურთხეს. ამბობენ, რომ არქიმანდრიტ კავკასიის ადგილზე ნიშნებ მისიონერადო. ღმერთმან ინებოს. შესანიშ-ნავი მოვლენა არის ჩვენს ცხოვრებაში ამისთანა ლრმა ნასწავლი კაცის ბერად შედგომა. ღმერთმან ჰქმნას ამისთანა ნასწავლი პირები ჩვენს სასულიერო წილებას სხვებიც შესძენდენ და ჯეროვანი ადგი-ლიც მისცემოდესთ...

შერილი რედაქციის იმართ
მოვალეობის მიმღები მოვალეობის მიმღები

მ. რედაქტორი!

გაახლებთ შვიდ მანეთს. აქედან ხუთ მანეთს ვსწირავ ზეპირსიტუვაობის ფონდს. ამისთანა სასარგებლო საქმისათვის ვკისრელობ უფელ წლობით ხუთხუთი მანეთის შემოტანას. დანარ-ჩენ თა მანეთში კი, ერთი მანეთი მიიღეთ მეფის დავით აღმაშენებელის სამღლოცველოს განსახ-ლებლად, ერთიც წმ. დავით და კოსტანტინეს ლუსკემისათვის. ძალიან მცირე გახლავთ ეს შეწირულება სსენებულ ქველის საქმეებისათვის, მაგრამ რას იზამს კაცი, როდესაც ნივთიერად ხელმოკლეა. მაგრამ მაინც ამით ვნეგებობ: თქვენც ძალიან კარგად მოგეხსენებათ, წრფე-ლის გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირებისო, და კიდევაც ამით გამრნევებულმა გაახლეთ ჩემი წვლილიც.

ამასთანავე გორծვთ გამომიგზავნოთ შემდე-გი თქვენგან გამოცემული მოღვაწეების ნახატე-ბი: თამარ მეფის, შოთა რუსთაველის და აკაკი წერეთლის, რათა წარმოვიდგინო ხოლმე მათის შეხედვის დროს, ისედაც განუშორებელი ჩემის მეხსიერებიდან, თვითეულის სასიქადულო დვა-წლი.

ამას გარდა, როგორც ვადლის მე-16 პლ-ში იყო ნაუწყები, თქვენ განვიზრახავთ სხვა სასუ-ლიერო თუ საერო შესანიშნავ პირთა ნახატების გამოცემაც. იმედი მაქვს, არც შემჟევი გამოცე-მული სურათებიდან მომაკლებთ თვითეულ ცალს, რომლისთვისაც უაღრესად მაღლობელი ვიქ-ნები.

თქვენი პატივისმცემელი მედივითნე
მ. ბარამაძე.

ვპეტდავთ ამ წერილს შეუცვლელად სწო-რედ საგულისხმო მაგალითია, რომ უწინალო მედავითნეს ასეთი გულმემატკივრობა ატევია საზოგადო საქმის და ასეთი პატივის-ცემა უდვივის ჩვენ მოღვაწეებისადმი. სჩანს შეგ-ნებული ჩვენი უოფა ალაპარაკებს ზემოხსენებულ სიტუაცის და არა უბრალო მარტო ნახატების ტრადიციალი. ასეთი მოვლენა სწორედ საიშვიათოა არამც თუ მედავითნებში, არამედ უფრო მაღალ წოდებასაც რომ შევცხოთ, მაგალ. მღვდლებში. რამდენია ისეთი მღვდლელი, რომ არამც ოუ არათერი არ შეუწირავს ზეპირ-სიტუაციის ფონ-დისათვის, არამედ არც კი ოციან, რა ფონდია ეს ფონდი, ან არსებობს თუ არა. ჯე კი ვრცელება ამ ადამიანის წვლილს, რომელიც რაც უნ-და იყოს, მცირედ არ ჩაითვლება — ასე მოკრძა-ლებით და მოწიწებით წარმოგზავნილს. თა-ნაც ამ წვლილს (5 მანეთს) გვპირდება უფელ წლობით. ეს ისეთი საგულისხმო მოვლენაა, რომ სწორედ ლმობიერებით ავსებს ადამიანის გულს. რამდენად მაღალი და უაღრესია ეს ჯილდო წრფელის გულით გაღებული იმ და-ზარებულს დახმარებაზე, რომელსაც ზოგი უწევს საზოგადო საქმეს მხოლოდ თავის პა-ტივმუსვარებისათვის. სასურველია, რომ ამ გვარი შემწირველები მრავალი გვეუოლოს და ეს შეწირულება ერთი ათად უფრო სულის ჩამდგმელი იქნება განზრახულ კეთილ საქმი-სათვის. ერთი ამგვარი მოვლენა ათ გულსაკლავ გარემოებას უქარვებს ადამიანს და გულს რა-დაც იმედს უვლენს. ვისურვოთ მხოლოდ, რომ ზემოხსენებულ მედავითნეს ბევრი მიმბ: ძველი გამოსჩენოდება ჩვენ საზოგადოებაში...

რედაქტორი.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ რეზალისა, რეზალციამი, ან დაიბარონ ფოსტით დ. უვიროლიდამ მიხეილ ბარაზაძისაგან.

მიმღება ხელის მოშენა 1896 წლისათვის ორ კვირაში გამოცეათა ჩართულს

„მოწევა“^ა

რუსულ 『ПАСТЫРЬ』-ზე

კურნალის ფასი:

12 თვით 『მწყემსი』 3 გ. | 6 თვით 『მწყემსი』 2 გ.
— „, ორვე გამოცემა 5 გ. — „, ორვე გამოცემა 3 გ.
— „, რუსული „, 3 გ. — „, რუსული „, 2 გ.

ისეიდება

საქველმოქმედო

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოღვაწების სა-
ხიანი ქაღალდიც.

განვიზრახე რა სკოლის დაარსება სოფელს კვა-
უთს, სენაკის მაზრაში, გურია-სამეგრელოს ეპარქიის
სამოსწავლო საბჭოსაგან, ყოვლად უსამღვდელოესის
ეპისკოპოსის გრიგორის ნებართვით და კურთხვით,
მიყიდვე წიგნაკა ჩასაწერათ შემომწირველთა და შე-
მოწირულთ რაოდენობისა, სასარგებლოთ აშ გასახ-
სნელის კვაუთის სკოლისა. მოვიწვევ შემწეო ჩემს
ნათესავებს, ნაცნობებს, ახანაგებს, მეგობრებს და
უფრო იმათ, რომელთაც ჩემგან ახსოვდეთ რამე და-
ვალება ცხოვრებაში და ჩვენში სწავლა-განათლების
გავრცელებას თანუგრძნობდენ, შემეწიონ ამ სკოლის
გახსნაში ფულით, წიგნებით და საკლასო ნივთებით.
ყოველივე შეწირულება გამოცხადებული იქნება გა-
ზეთებში და ღრომიდის დაცული სამოსწავლო საბ-
ჭოში.

წევრი—საქმის მურმობელი გურია-სამეგრელოს
პიონი ცნობოდ თავით ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს
პირები უფრო მომდევ სტეფანე ძიმის ტარაშვილი.

თბაძრ-მავის

ართა რუსთაველი
სახიანი

ფასტის ქაღალდი

თბილის და ქუთაისის ქართულ წიგნის მარაზიებში

ვუჩელი თითო კაპეიკად.

შეგებული თანხიუან ნახევრი შეეწეობა ზეპირ-
სიტუაციას ვოდე და ნაჩვარი; მოხარულება ია-
ფასიან და მუქად დასარიცხელ სახალხო წიგნი-

შმიშის გაძოცემას.

ოციციალური განყოფილება: სამღვდელოების კრება
ქ. ქუთაისში 27, 28 და 29 მაისს.—საქართველოს მეცნიერების
სალიტერატურო განყოფილება: სამღვდელოების კრება
ქ. ქუთაისში 27, 28 და 29 მაისს.—საქართველოს მეცნიერების
დროის თავგადასავლი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—
წერილი რედაქციის მიმართ.—

— განცხადება.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. Дозволено цензурою. Тифлис 19 Июля 1896 г.

Типография редакции (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.